სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/300

ქ. თბილისი

22 ოქტომბერი 2019

სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურაში სამეცნიერო და ინოვაციური კვლევების მართვისა და ორგანიზაციის სათავო ინსტიტუტის შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირაკლი გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ოქტომბრის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტრუქტურაში შეიქმნას სამეცნიერო და ინოვაციური კვლევების მართვისა და ორგანიზაციის სათავო ინსტიტუტი და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ინსტიტუტი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ირაკლი გაბისონია;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**